საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მრავალძალი

მრავალძალი (ყოფ. მთისკალთა), სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ონის მუნიციპალიტეტში. ადმ. ერთეულის ცენტრი. მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1840 *მ*, ონიდან 30 *კმ*. მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10 კაცს (2014). სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მის მახლობლად, 1900 *მ* სიმაღლეზე, მდებარეობს მრავალძალის ტბა. **მ**. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს. სოფელში დგას XI ს-ით დათარიღებული მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია.